CONTRA *CONTRA NATURAM*

ეზრა პაუნდის XLV კანტო

CONTRA *CONTRA NATURAM*
ეზრა პაუნდის XLV კანტო

წინამდებარე გამოცემა მესამე წიგნია, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფილია პოეზიის მთარგმნელებისთვის ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიას თანდართული იმ თანხის (700,00 ლარი) მესამე ნაწილით, რომელიც დათო ბარბაქაძეს 2018 წელს გადაეცა ლიტერატურულ პერიოდიკაში დაბეჭდილი პოეზიის თარგმანის ნომინაციაში და პირადი მიზნებისთვის რომლით სარგებლობაზეც მან საჯაროდ თქვა უარი. პირველი წიგნის (*რობერტ კელი, საფოსტო ბარათები ქვესკნელიდან, მთარგმნელი ირაკლი ყოლბაია,* 2018) სასტამბო ღირებულებამ შეადგინა 220,00 ლარი, მეორე წიგნის (*ალეხანდრა პისარნიკი, ამაღამ, ამ სამყაროში, მთარგმნელი ირაკლი ყოლბაია,* 2019) სასტამბო ღირებულებამ, ასევე, შეადგინა 220,00 ლარი. წინამდებარე წიგნის გამოცემას მოხმარდა დარჩენილი 260,00 ლარი, რომელიც, სწრაფი ინფლაციის პირობებში, საკმარისი არ აღმოჩნდა სასტამბო ხარჯების დასაფარად. წიგნის გამოსაცემად აუცილებელი თანხა სრულად შეივსო **GITTE WALTHERS**-ის ძვირფასი დახმარებით.

წიგნში წარმოდგენილი ყველა თარგმანი
შესრულებულია უჰონორაროდ.

გამომცემლები:
ირაკლი ყოლბაია და დათო ბარბაქაძე

ყველა უფლება დაუცველია

ყდაზე: ეზრა პაუნდი ვენეციაში (მარცხენა კუთხეში ოლგა რაჯი ზის), 1969 (© Carlo Pescatore)

Publishing House *UNIVERSALI*
Tbilisi
February 2021

ISBN 978-9941-26-926-4

CONTRA
CONTRA NATURAM

ეზრა პაუნდის XLV კანტო

წინათქმა

იმის მიუხედავად, რომ ქართულ ენაზე ეზრა პაუნდის XLV კანტოს მრავალი თარგმანის ორგანიზებისა და ერთ კრებულად შედეგთა თავმოყრის იდეა არც ადრე მასვენებდა, მოქმედების დაჩქარებისა და კონცეპტის გაღრმავების ინსპირატორად მაინც არტპორტალ demo.ge-ზე 2020 წლის მაისში გამოქვეყნებული თანამედროვე ამერიკელი პოეტისა და მთარგმნელის (ჩემთვის მანამდე უცნობის), ამიელ ალკალაის ციცქნა, მაგრამ ძლიერი ენერგიით დამუხტული წერილი იქცა, სათაურით „ეზრა პაუნდის კანტო XLV". ამიტომ უსამართლობა იქნებოდა, სწორედ მისით რომ არ ყოფილიყო თანხლებული წინამდებარე გამოცემა.

იოლად წარმოსადგენია, რა ბედი ელის ალკალაის ამ გულ-და-გონებაწრფელ წერილს იდეოლოგიური კლიშეებით დადაღული, კუდიანებზე ნადირობის უხეშ პრაგმატიკაში გაწაფული და მხოლოდ ნებადართული, ერთგანზომილებიანი კრიტიკის პრაქტიკას მიჩვეული ჩვენი ხმაურიანი ინტელექტუალების, ასევე მათ ირგვლივ ყველგან და ყველგან ერთ მუშტად შეკრული (ანუ არაიდეოლოგიზებულთა დიფამირებისთვის ყოველთვის მზადმყოფი) მოხალისეების *სამწუხაროდ-შეზღუდულ* თავებში. მაგრამ, საბედნიეროდ, არც ის არის ძნელად წარ-

მოსადგენი, თუ როგორი სიხარულით გაუღიმებს თავის კიდევ ერთ ახალ ფხიზელ მეგობარს დროის სულისკვეთებისგან დისტანცირებული არაერთი უხმაურო მკითხველი საქართველოში.

ჩვენის მხრივ, ამიელ ალკალაის მადლობას ვუხდით წინამდებარე კრებულში მისი წერილის გამოქვეყნების ნებართვისთვის.

მართალია, demo.ge-ის კონკურსი დასრულდა, მაგრამ პროექტი ღიაა XLV კანტოს თარგმნის ნებისმიერი მსურველისთვის, მათ შორის – მათთვის, ვინც ინგლისურ ენას არ ფლობს (სწორედ ამიტომ ერთვის კრებულს ეზრა პაუნდის ამ სიმღერის პწკარედული თარგმანი). თქვენი მთარგმნელობითი აქტივობა ელექტრონულ ფორმატში პროექტის განვრცობის შესაძლებლობას მოგვცემს. თარგმანის/თარგმანების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: mtvralinavi@gmail.com

დ. ბ.

10.02.2021

I

EZRA POUND

Canto XLV

With *Usura*

With usura hath no man a house of good stone
each block cut smooth and well fitting
that design might cover their face,
with usura
hath no man a painted paradise on his church wall
harpes et luthes
or where virgin receiveth message
and halo projects from incision,
with usura
seeth no man Gonzaga his heirs and his concubines
no picture is made to endure nor to live with
but it is made to sell and sell quickly
with usura, sin against nature,
is thy bread ever more of stale rags
is thy bread dry as paper,
with no mountain wheat, no strong flour
with usura the line grows thick
with usura is no clear demarcation
and no man can find site for his dwelling.
Stonecutter is kept from his stone
weaver is kept from his loom

WITH USURA
wool comes not to market
sheep bringeth no gain with usura
Usura is a murrain, usura
blunteth the needle in the maid's hand
and stoppeth the spinner's cunning. Pietro Lombardo
came not by usura
Duccio came not by usura
nor Pier della Francesca; Zuan Bellin' not by usura
nor was 'La Callunnia' painted.
Came not by usura Angelico; came not Ambrogio Praedis,
Came no church of cut stone signed: *Adamo me fecit*.
Not by usura St Trophime
Not by usura Saint Hilaire,
Usura rusteth the chisel
It rusteth the craft and the craftsman
It gnaweth the thread in the loom
None learneth to weave gold in her pattern;
Azure hath a canker by usura; cramoisi is unbroidered
Emerald findeth no Memling
Usura slayeth the child in the womb
It stayeth the young man's courting
It hath brought palsey to bed, lyeth
between the young bride and her bridegroom

CONTRA NATURAM

They have brought whores for Eleusis
Corpses are set to banquet
at behest of usura.

II

უზურა

უზურა არის ჩვენი უსახლოდ ყოფნის მიზეზი,
როცა აგურებს მარჯვედ და მონდომებით ჭრიან,
იქნებ ასე მაინცღა დამალონ სახე თავისი.
უზურა არის ტაძრის კედელზე ვერდახატული
სამოთხის მიზეზი,
ვერმოსმენილი ტკბილი ჰანგების
ქალწულ მარიამს რომ არ ეხარა,
და არ ამობრწყინდა ნაპრალიდან შარავანდედი
ამის მიზეზიც უზურა არის.
უზურა არის გონძაგას ვერგამართლების მიზეზი,
ვერხილვის მისი მემკვიდრეების და მიჯნურისა
აღარ იცოცხლებს აღარცერთი ტილო მარადჟამ,
არამედ მხოლოდ სიმდიდრის მოსახვეჭად ის
შესრულდება.
უზურა არის ცოდვით ბუნების დაჯაბნის მიზეზი,
პურმა რომ გემო დაკარგა
და ქაღალდივით სულ მთლად გამოშრა.
უზურა არის ხაზების მოშლის
ყველა საზღვრის მორყევის მიზეზი,
კაცს რომ თავისი საცხოვრისი ვერ მოუნახავს.
მოშორებია კაცი ქვითხურო ამ ქვებს თავისას
ველარც ფეიქარს უპოვია სართავი ჯარა.
უზურა არის მიზეზი ცხვრის გაწყვეტისა,
მატყლიც რომ აღარ იშოვება ბაზრის დახლებზე
დაბლაგვებია დიასახლისს ნემსი ხელებში,

გაჩერებულა საუკუნოდ სართავი მანქანა.
უზურამ ამ ქვეყნად არ მოავლინა პიეტრო
ლომბარდო
მისი მიზეზით არ შობილა დელა ფრანჩესკა
არც ძუან ბელინი არ უშვია უზურას ძალას,
არც ,,La Calunnia" დახატულა მისი წყალობით.
უზურამ ამ ქვეყნად არ მოავლინა არც ანჯელიკო,
არც ამბროჯიო პრედისი შობილა მისი მიზეზით
და ეს წარწერა ტაძრის კედელზე - Adamo me fecit -
არ ამოჭრილა გათლილ კვადრზე მისი წყალობით.
უზურას ძალით არ აგებულა წმინდა ტროფიმეს
ტაძარი,
არც წმინდა ილერის ტაძარი უშენებიათ მისი
შეწევნით,
დაჟანგებულა საჭრეთელი უზურას ძალით
დაჩლუნგებია ოსტატს ხელები მისი მიზეზით.
უზურა არის სართავ ჯარაზე ძაფის მოხრის მიზეზი,
აღარც არავინ ეუფლება ოქრომჭედლობას
და გასჩენია ლაჟვარდს წყლული უზურას ძალით
ფერი ყირმიზის დარჩენილა მოუქარგავი.
უზურამ მოსპო ჩვილის სიცოცხლე დედის საშოში,
სულ დაუკარგა კაცს ახალგაზრდას ტრფობის
წადილი
და მოისურვა ორად გაყოფა ცოლ-ქმრის სარეცლის,
როგორც არასდროს არ მომხდარა - CONTRA
NATURAM
ელევსინისკენ მიმავალ გზაზე გაუძღვნენ მეძავთ
და სანადიმოდ დაპატიჟეს ხრწნილი გვამები
უზურამ გასცა ამისათვის თურმე ბრძანება,
ეს ყოველივე სწორედ მისი განკარგულებით.

უზურით

უზურით
არვის ძალუძს ჰქონდეს სახლი გამძლე ქვით
და აგურების თანწყობილი თლით,
ჩანაფიქრივე დაფარავს მათ სახეს.
უზურით
არავის აქვს არფებით და სიმსუბუქით დახატული
ედემი
საკუთარი ეკლესიის კედელზე,
ან იქ, სადაც ქალწულების შეწირული ვედრებით
შარავანდი გაასხივებს ჭრილობების არეს.
უზურით
გონზაგა ვერ იხილავს მემკვიდრეებს თვისას,
კონკუბინებს თვისას,
ვერ იქმნება სურათი, რომ გაუძლოს და
იცხოვროს თანა,
არამედ, რომ გაიყიდოს და გაიყიდოს სწრაფად.
უზურით, ცოდვა ბუნების წინააღმდეგია,
შენი პური უფრო შემორჩენილია,
შენი პური ქაღალდივით შემოფენილია
სიმშრალეს,
მთის ხორბლისა და მყარი ფქვილის გარეშე.
უზურით ხაზი სქელდება,
დემარკაცია ბნელდება
და ვეღარავინ პოულობს საცხოვრებელ ადგილს.
ქვის მჭრელი მოწყდა ქვას,

მქსოველი საქსოვ ძაფს
უზურით
მატყლი არ მოდის ბაზარში,
ცხვარს აღარ მოაქვს მოგება
უზურა შავი ჭირია
უზურით ნემსი ბლაგვდება
მოახლის ხელში და მრთველის სიმარჯვეც
ჩერდება.
პიეტრო ლომბარდო არ მოსულა უზურით
დუჩო არ მოსულა უზურით
არც პიერ დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინი არ
მოსულა უზურით
არ დახატულა ბოტიჩელის „ცილისწამება".
არ მოსულა უზურით ანჟელიკო, არ მოსულა
ამბრიჯო პრედისი,
არ შექმნილა ნათალი ქვის ეკლესია წარწერით:
„მე და ადამ".
არა უზურით - წმინდა ტროფიმი,
არა უზურით - წმინდა ილერი
უზურა აჟანგებს საჭრეთელს,
აჟანგებს ხელობას, აჟანგებს ხელოვანს,
იგი გამოხრავს ძაფებს დაზგაში.
ვერვინ ისწავლა მისი ნიმუშით მოქსოვოს ოქრო,
წყლული გაუჩნდა ლაჟვარდს უზურით,
მოუქარგავი მეწამულია,
ზურმუხტს კი არ ძალუძს მემლინგი ჰპოვოს.
უზურა მოსრავს ბავშვს მუცელშივე
იგი აჩერებს ახალგაზრდა კაცის არშიყს და
მოტივს,
დამბლა მოჰგვარა მან უკვე საწოლს,

მოიკალათა პატარძალსა და მის ნეფეს შორის
ბუნების საწინააღმდეგოდ
მათ მიჰგვარეს მეძავები ელევსინს
გვამები მიუსხდნენ ნადიმს
უზურას განკარგულებით. უზურით.

უზურასგან

უზურასგან არავის აქვს სახლი გამძლე ქვით
გამოთლილით, დაგლუვებულით ისე,
რომ მათი წინასახე იფარებოდეს
უზურასგან
არავინ ხატავს სასუფეველს საკუთარი ტაძრის
კედელზე
harpes et luthes
ან მახარობლებს, რომლებიც ქალწულს
ატყობინებენ
და ბრწყინვალების მღვრელ სხივებს
უზურასგან
ვერავის ამჩნევს გონძაგა, მისი მემკვიდრეები და
კონკუბინები
არ შექმნილა სახე სარწმუნოდ და სადიდებლად
ის შეიქმნა გასაყიდად და უფრო სწრაფად
გასასაღებლად
უზურასგან, ცოდვა ბუნების წინააღმდეგი
შენს პურს სამუდამოდ აუგემურებს
შენი პური - ქაღალდივით ხმელი
არ იქნება მთის ხორბლისგან, არ იქნება პურის
ფქვილისგან
უზურასგან გავლებული ხაზი სქელდება
უზურასგან ნაპირები იშლებიან
და არავის შეუძლია იპოვოს ადგილი
საცხოვრებლისთვის

არ შეუძლია ქვისმჭრელს ქვამდე მივიდეს
და ფეიქარს - სართავ ჯარამდე
უზურასგან
არ მიაღწევს მატყლი ბაზრამდე
რადგან უზურასგან ცხვარს არ შეეძლება ბეწვის
გაცემა
უზურა ჭირია, უზურა
მკერავის ხელში ნემსს აბლაგვებს
და ხელს უშლის ძაფის მრთველის უნარიანობას.
პიეტრო ლომბარდო
არ შობილა უზურასგან
დუჩი არ შობილა უზურასგან
ისევე როგორც პიერო დელა ფრანჩესკა; ზუან
ბელინი არ შობილან უზურასგან
და არც “La Callunnia” შეუქმნია უზურას ძალას.
არ შობილა ანჯელიკო უზურასგან; არც
ამბროჯიო პრედისი,
და არცერთი ტაძარი აგებულა გამოთლილ ქვაზე
ხელმოწერით: Adamo me fecit.
უზურასგან არ იშვა წმ. ტროფიმი
უზურასგან არ იშვა წმ. ილერი,
უზურა ჟანგავს საჭრისს,
და ჟანგავს ხელობას და ხელოსნებსაც
წყვეტს ძაფს სართავ ჯარაზე
არავის უსწავლია ოქროს მიღება მისი ნიმუშით
ლაჟვარდი უზურასგან ავადმყოფდება, არ
მოიქსოვება მეწამული
ზურმუხტი ვერ იპოვის მემლინგს
უზურა აწყალებს ნაყოფს საშვილოსნოში
ის ახშობს ახალგაზრდების სურვილს

სიყვარულის მისაღებად
დამბლას სცემს საწოლში და ვრცელდება
პატარძალსა და მის ქმარს შორის
CONTRA NATURAM
მათ მიიყვანეს მეძავები ელევსისში
გვამები საქეიფოდ დასვეს
უზურას ბრძანების თანახმად.

უზურას ნებით

უზურას ნებით, კაცი ვერ ფლობს კეთილშობილ
ქვით აგებულ სახლ-კარს
ფაქიზად გამოთლილი და თანმიმდევრული
აგურის წყობით,
რომლის ფასადებიც დაჩრდილავდა სახლის
დედააზრს,
უზურას ნებით,
არაა კაცი, ტაძრის კედლებზე მშვენიერი ედემი
რომ მოეხატოს
არფებითა და ბარბითებით,
ან იმ ადგილით, სად ამცნეს ქალწულს,
ანდაც კედელზე ამოეკვეთა ქვის შარავანდედი,
უზურას ნებით,
ვერვინ იხილავს გონძაგას, მის შთამომავლებს და
მის მიჯნურებს
არც ერთი ხატი არ იქმნება, რომ დროს გაუძლოს
და იარსებოს
მხოლოდ იმისთვის, რომ გაიყიდოს და თანაც
სწრაფად
ბუნების შეცდომის, უზურას ნებით
არის პური შენი უფრო გამხმარი და ობიანი,
პური შენი - გამომშრალი, როგორც ქაღალდი,
ვინაიდან ფქვილად არ ივარგებს ხორბალი,
რომელიც მთიდან არ მოაქვთ
უზურას ნებით, ხაზებს ფაქიზად აღარ ავლებენ

უზურას ნებით, საზღვრები უფრო ბუნდოვანია
და ვერა კაცი ვერ იპოვის საცხოვრის ალაგს,
ქვისმთლელი მის ქვებს მოაშორეს
მქსოველი - ნართებს,

უზურას ნებით

შალის ქსოვილებს ბაზრის დახლებზე ვეღარ
შეხვდებით
ცხვარსაც აღარ აქვს სარგებელი უზურას ნებით,
შავი ჭირია უზურას ნება, უზურას ნებით
ნემსი ხელებში უბლაგვდება საბრალო მხევალს
და შეაჩერებს ის ჯარას ტრიალს. უზურას ნებით
არ მოვლენილა
პიეტრო ლომბარდო,
უზურას ნებით არ მოვლენილა
არც დუჩო,
არც პიერო დელა ფრანჩესკა, არც ჯოვანი
ბელინი არ ქმნიდნენ არას უზურას ნებით
არც 'La Callunnia' დახატულა უზურას ნებით,
არც ანჯელიკო დაიბადა უზურას ნებით,
არც ამბროჯიო პრედი,
არც სალოცავში ამოკვეთილი ნიშანი Adamo me
fecit შექმნილა მისთვის
არც სალოცავი წმინდა ტროფიმის
არც სალოცავი წმინდა ილერის,
უზურას ნებით, ჟანგი ედება ოსტატის საჭრელს,
ჟანგი ედება ნაოსტატარს და თვით ოსტატსაც,
იგი გამოღრღნის ფაქიზ ძაფებს სართავ ჯარაზე
არავინ ცდილობს რომ შეუდგეს ოქროთი დართვას
ლაჟვარდს წყლულები მოედება უზურას ნებით;
არავინ კერავს მეწამულ ხავერდს

ზურმუხტის ქვები ვერ პოულობენ კვლავ სხვა
მემლინგებს,
უზურა ჩაკლავს ბავშვს მუცელშივე
და რჩება მუდამ კაცის თანმდევად
მის გამო სარეცელზე დამბლამ დაიბუდა, წევს
ახალგაზრდა ცოლს და ქმარს შორის
CONRA NATURAM
ელევსისში მეძავები შეუყვანიათ
მკვდარი სხეულები ნადიმისთვის ემზადებიან
უზურას ნებით

უზურას გამო

უზურას გამო
არავის აქვს კარგი ქვის სახლი
და ვისაც აქვს ისიც კარგავს
უზურას გამო.
უზურას გამო
აფეთქდება მიწის სასუქი,
იწვის ქალაქი,
იფერფლება უზურას გამო.
უზურას გამო
სივრცე იქნევს საზღვრის მათრახებს
და ბავშვებს კანი ეფოთლებათ
უზურას გამო.
უზურას გამო
წიქარას რქა
სავსეა ჩირქით,
მირბის, მიფორთხავს,
უგზაუკვლოდ,
უზურას გამო.
უზურას გამო
არ არსებობს არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს,
უზურას გამო.
და აჭკნობს, აჭკნობს,
ჩვილსაც აჭკნობს დედის საშოში,
აჭკნობს მწუხარედ, აჭკნობს ნაზად,

უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უზურას გამო.

უზურით

უზურით კაცს არ აბადია კარგი ქვის სახლი
თითოეული აგური გლუვად მოჭრილი და სწორად
ჩასმული
რომლის აგებულება შესაძლოა ფარავს მის სახეს,
უზურით კაცს არ აბადია დახატული ედემი მისი
ტაძრის კედელზე
harpes et luthes
ან სადაც ქალწულს ეუწყა და ჭრილობიდან
შარავანდედი მოჩანს
უზურით კაცი ვერ ხედავს გონზაგას და
კონკუბინს
არც სურათია შექმნილი ისეთი რომ დროს
გაუძლოს და არც ისეთი
რომ მის გვერდით შეძლო ცხოვრება
მაგრამ კეთდება რომ გაიყიდოს, და რომ
სწრაფად გაიყიდოს
უზურით, ცოდვა ბუნების წინააღმდეგ,
არის შენი პური უკუნით გამომშრალი ქაღალდით
და არის შენი პური გამომშრალი როგორც
ქაღალდი
არც მთის ხორბლით, ძლიერი ფქვილით,
უზურით ხაზი სქელდება
უზურით ბუნდოვანია დემარკაცია
და კაცს არ ძალუძს სამყოფლის პოვნა.
ქვისმთლელი დაშორებულია ქვას

მქოსველი დაშორებულია დაზგას
უზურით
მატყლი არ ჩნდება ბაზრში
ცხვარი ვერ იგებს ბატკანს უზურით
უზურა ჭირია, უზურა
აბლაგვებს ნემსს მოახლის ხელში
და აჩლუნგებს მრთველის მოხერხებულობას.
პიეტრო ლომბარდო
არ მოსულა უზურით
დუჩო არ მოსულა უზურით
არც პიერ დელა ფრანჩესკა; ზუან ბელინი არა
უზურით
არც „ლა კალუნია" დახატულა.
არ მოსულა უზურით ანჯელიკო; არ მოსულა
ამბროჯიო პრადესი
ტაძრის მოჭრილ ქვაზე არ ყოფილა წარწერა:
Adamo me fecit.
უზურით არა წმინდა ტროფიმე
უზურით არა წმინდა ჰილარი,
უზურით იჟანგება საჭრისი
საამქროც და თვითონ ხელოსანიც
ის ხრავს ძაფს დაზგაში,
არავის უსწავლია ოქრომჭედლობა მისით;
ლაჟვარდს აქვს წყლული; კრამოისი არის
მოუქარგავი
ზურმუხტი ვერ პოულბს მემლინგს
უზურა კლავს ბავშვს საშოში
ის აყოვნებს ყმაწვილის არშირყს
მას მოუტანია დამბლა საწოლში, მჟავა
ახალგაზრდა პატარძალს და მის საქმროს შორის

CONTRA NATURAM

მათ მოუყვანიათ ბოზები ელეუსისთვის
გვამები დაუსვამთ ლხინზე
უზურას განკარგულებით.

უზურათი

უზურათი არავის აქვს კარგი ქვის სახლი
ყველა აგური იყოს მოჭრილი სწორად და
ერგებოდეს ისე,
რომ ნაგებობა ფარავდეს მათს სახეს.
უზურათი
არავის აქვს თავისი ტაძრის კედელზე მოხატული
სამოთხე
არფა და ლუთნა
ან სადაც ქალწული იღებს გამოცხადებას
და სადაც შარავანდი ანათებს ჭრილიდან,
უზურათი
გონზაგა ვერ ნახავს თავის მემკვიდრეებსა და
მხევლებს,
არ იქმნება სურათი, რომელიც დროს გაუძლებს,
მაგრამ ის იქმნება, რომ გაიყიდოს და გაიყიდოს
სწრაფად.
უზურათი ცოდვაა ბუნების წინააღმდეგ,
შენი პური არის ნაბიჭევი,
შენი პური არის ქაღალდივით მშრალი
მთის ხორბლისა და ფქვილის გარეშე,
უზურათი ვერ დახატავ წვრილ ხაზებს.
უზურათი არ არსებობს ზუსტი საზღვრები
და არავის შეუძლია ნახოს სამკვიდრო,
მქსოველი მოშორებულია საქსოვ მანქანას.
უზურათი

არ იყიდება ბაზარში მატყლი
და ვერ მოაქვს ცხვარს სარგებელი
უზურა არის ჭირი, უზურა
ბლაგვი ნემსია მოსამსახურის ხელში
და სიმაჯვედაკარგული მრთველი. პიეტრო
ლომბარდო
არ მოსულა უზურათი
დუჩიო არ მოსულა უზურათი
არც პიერ დელა ფრანჩესკა. ზუან ბელინი არ
მოსულა უზურათი,
არც "La Callunia" მოხატულა.
არ მოუყვანია უზურას ანჯელიკო; არც ამბროჯო
პრედისი მოუყვანია,
მისგან არაა თლილი ქვის ტაძარი ხელმოწერით:
Adamo me fecit.
უზურასგან არაა წმინდა ტროფიმე,
უზურასგან არაა წმინდა ილერი,
უზურა ჟანგავს მოქანდაკის საჭრელს
უზურა ჟანგავს ნამუშევარსა და შემოქმედს
ის დაალპობს ძაფს საკერავ მანქანაში
ვერავინ ისწავლის ოქროს ჩაქარგვას თავის
ქსოვილში
აზური* კარგავს სიცისფრეს უზურათი; ვერც
მეწამული მოირთვება

---

* აზური ეწოდება აზურიტის გამოყენებით მიღებულ ზურმუხტისფერს. რენესანსის პერიოდში ხელოვნების ნიმუშებში ცისფერი ამ გზით მიიღებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ მასალას ფერი ეცვლებოდა. ეზრა პაუნდიც სწორედ ამ არამდგრადობაზე ამახვილებს ყურადღებას მოცემულ სტრიქონში (მთარგმ.).

ვერც ზურმუხტი იპოვის მემლინგს
უზურა კლავს ბავშვს საშოში
ის აბრკოლებს ახალგაზრდის ტრფიალს
მან მოუტანა დავრდომა საწოლს, ჩაწოლილა
ახალგაზრდა დაქორწინებულებს შორის
CONTRA NATURAM
მათ მოიყვანეს მეძავები ელევსინში
მკვდართა ცხედრები იწყებენ ნადიმს
უზურას ნებით.

უზურას ხელში

უზურას ხელში
მკვიდრი სახლი ვერ აიგება
თლილი ქვა ვეღარ მიეწყობა მიჯრით ერთმანეთს
და ნაპრალებიც მარჯვედ ვეღარ დაიგმანება
უზურას ხელში
სამოთხე ვერ დაიხატება ტაძრის კედელზე
harpes et luz
ან იქ, სად ქალწულს ამბავი ემცნო
და ნაჭდევიდან შარავანდმა ამოანათა
უზურას ხელში
ვერვინ იხილავს მემკვიდრეებით და მხევლებით
მოცულ გონზაგას
და შეიქმნება ტილოები არა იმისთვის, დროს რომ
გაუძლოს,
და არც იმისთვის, მათი ცქერით რომ
ისულდგმულო,
არამედ - სწრაფად გასაყიდად, გასასაღებლად
უზურას ხელში ბუნებას სცოდავ,
და შენი პური, იმ ხეშეში ძველმანის დარად,
გამომშრალა, როგორც ქაღალდი
ვეღარსად ნახავ მთის ხორბალს და ვეღარც
ფქვილს ჯანსაღს
უზურას ხელში გასივდება ხაზი ნატიფი
უზურას ხელში მოიშლება საზღვარი ყველა
ვერვინ იპოვის ადგილს, თავი რომ მიიდრიკოს

ქვის მთლელს ქვის თლას არ ანებებენ
ფეიქარს - ქსოვას
უზურას ხელში
მატყლი შალად აღარ იქცევა
ცხვარი ბატკანს აღარ მოიგებს უზურას ხელში
უზურა არის ის თურქული, პირუტყვს რომ ცელავს,
და მახათს წვერს რომ დაუბლაგვებს თითებში
მხევლის
ფასს რომ უკარგავს მრთველის ხელობას
პიეტრო ლომბარდო ვერ იქნებოდა უზურას ხელში
და ვეღარც დუჩო იქნებოდა უზურას ხელში
ვერც პიერ დელა ფრანჩესკა და ვერც ჯოვანი
ბელინი
უზურას ხელში La Calunnia-ს ვერ შექმნიდა
ოსტატის ფუნჯი
უზურას ხელში ანჯელიკოს ვერ იხილავდი, ვერ
იხილავდი ამბროჯო პედისს
ვერც ტაძარი აშენდებოდა თლილი ქვითა და ამ
წარწერით: Adamo me fecit.
საყდრები წმინდა ტროფიმუსის, წმინდა ილარის,
უზურას ხელში საჭრეთელი ვერ გაფხავდება
უზურას ხელში ჟანგი შეჭამს ოსტატს და ამქარს
უზურას ხელში ძაფიც, მაქოც აიბურდება
ვერც ვინ გასწავლის ოქრომკედით ქსოვის
ხელობას
ლაჟვარდსაც ჭია შეეჩვევა უზურას ხელში
ვეღარც სამოსი მეწამული მოიოჭვება
ვეღარც ზურმუხტი შეეყრება მეორე მემლინგს
უზურა ჩაკლავს წიაღში ჩვილს და
ტრფიალის ძალას წარსტაცებს მეტრფეს

დაადამბლავებს და მყის ჩაწვება
ჭაბუკ ნეფის და დედოფლის შუა

CONTRA NATURAM

ელევსინში მეძავები მოუწვევიათ
ნადიმის სუფრას მოსხდომიან გარშემო მკვდრები
უზურას ნებით.

უზურას ძალით*

უზურას ძალით არავის აქვს კარგი ქვის სახლი,
როცა ქვებს ისე აგლუვებენ და ისე თლიან,
რომ მათი სახე იერსახედ გადააქციონ,
უზურას ძალით
ვერვინ იხილავს ტაძრის კედელზე დახატულ
ედემს
harpes et luz-ს
ან ადგილს, სადაც ქალწულს ეუწყა,
და შარავანდედს, ბჭიდან გადმოსულს,
უზურას ძალით
გონძაგა არვის გამოუჩნდება, არც ნაგრამი და
კონკუბინები
არ შეიქმნება ხატი მრავალჟამიერი,
ცხოველმყოფელი,
არამედ ოდენ გასაყიდად და კვლავ და კვლავ
გასაყიდად დამზადებული
უზურას ძალით, ბუნებას რომ უტევს, იმ ცოდვით,
შენი პური ერთიანად უგემურდება
შენი პური გამომშრალა, როგორც ქაღალდი,
იგი არ არის მთის ხორბალი და არც ფქვილი
შემტკიცებული
უზურას ძალით გავლებული ხაზი სქელდება

---

* თარგმანი შესრულებულია ლექსიკონის დახმარებით. ტექსტის ინგლისური დედნის პარალელურად ვსარგებლობდი ევა ჰესეს მიერ შესრულებული გერმანული თარგმანით (მთარგმ.).

უზურას ძალით ყველა მიჯნა ბუნდოვანდება
და საცხოვრისის ასაგებად კაცს სამკვიდრო ვერ
მოუნახავს
შორს დაშთენილა ქვითხურო ქვისგან
ფეიქარი სართავ ჯარას მოშორებია

უზურას ძალით

ბაზრობამდე ვერ აღწევს მატყლი
ცხვარი მისხალსაც არ მოიღებს უზურას ძალით
უზურა არის ჭირი, უზურა
მოახლის ხელში ნემსს აჩლუნგებს,
წყვეტს დამრთავის გამჭრიახობას. პიეტრო
ლომბარდო
არ მოსულა უზურას ძალით
უზურას ძალით არ მოსულან არც დუჩო და
არც პიერო დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინი არ
მოსულა უზურას ძალით
არ დაწერილა „La Callunia” უზურას ძალით.
ანჯელიკო არ მოსულა უზურას ძალით;
ამბროჯიო პრედისიც – არა,
და არც ტაძარი აგებულა, გათლილ ქვაზე
ამოჭრილი ამ წარწერით: Adamo me fecit.
უზურამ არ შვა წმინდა ტროფიმი
უზურამ არ შვა წმინდა ილერი,
საჭრეთელს ჟანგი მოედება უზურას ძალით
ოსტატობასაც ის ჟანგავს და ჟანგავს ოსტატსაც
ძაფსაც ის ხრავს სართავ ჯარაზე
არავინ სწავლობს მის ნიმუშზე ოქრომჭედლობას;
უზურას ძალით შეუბოჭავს კიბოს ლაჟვარდი;
ძოწისფერი დარჩენილა მოუქარგავი
ზურმუხტისფერს არ ჰყავს მემლინგი

უზურა აშთობს ჩასახულ ჩვილს დედის საშოში
თვითწარდგინება აუკრძალავს
ყმაწვილკაცისთვის
საწოლში კი სისხლჩაქცევა შეუტანია, დანთხეულა
ნეფესა და პატარძალს შორის
CONTRA NATURAM
ელევსისში მეძავები შეუყვანიათ
წვეულებაზე მოსალხენად გვამები დასხეს
სწორედ უზურას განკარგულებით.

მევახშეობით

მევახშეობით არავის აქვს კარგი ქვის სახლი,
როცა ქვებს ისე აგლუვებენ და ისე თლიან,
რომ მათი სახე იერსახედ გადააქციონ,
მევახშეობით
ვერვინ იხილავს ტაძრის კედელზე დახატულ
ედემს
harpes et luz-ს
ან ადგილს, სადაც ქალწულს ეუწყა,
და შარავანდედს, ბჭიდან გადმოსულს,
მევახშეობით
გონძაგა არვის გამოუჩნდება, არც ნაგრამი და
კონკუბინები
არ შეიქმნება ხატი მრავალჟამიერი,
ცხოველმყოფელი,
არამედ ოდენ გასაყიდად და კვლავ და კვლავ
გასაყიდად დამზადებული
მევახშეობით, ბუნებას რომ უტევს, იმ ცოდვით,
შენი პური ერთიანად უგემურდება
შენი პური გამომშრალა, როგორც ქაღალდი,
იგი არ არის მთის ხორბალი და არც ფქვილი
შემტკიცებული
მევახშეობით გავლებული ხაზი სქელდება
მევახშეობით ყველა მიჯნა ბუნდოვანდება
და საცხოვრისის ასაგებად კაცს სამკვიდრო ვერ
მოუნახავს

შორს დაშთენილა ქვითხურო ქვისგან
ფეიქარი სართავ ჯარას მოშორებია

მევახშეობით

ბაზრობამდე ვერ აღწევს მატყლი
ცხვარი მისხალსაც არ მოიღებს მევახშეობით
მევახშეობა არის ჭირი, მევახშეობა
მოახლის ხელში ნემსს აჩლუნგებს,
წყვეტს დამრთავის გამჭრიახობას. პიეტრო
ლომბარდო
არ მოსულა მევახშეობით
მევახშეობით არ მოსულან არც დუჩო და
არც პიერო დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინი არ
მოსულა მევახშეობით
არ დაწერილა „La Callunia” მევახშეობით.
ანჯელიკო არ მოსულა მევახშეობით; ამბროჯიო
პრედისიც – არა,
და არც ტაძარი აგებულა, გათლილ ქვაზე
ამოჭრილი ამ წარწერით: Adamo me fecit.
მევახშეობას არ უშვია წმინდა ტროფიმი
მევახშეობას არ უშვია წმინდა ილერი,
საჭრეთელს ჟანგი მოედება მევახშეობით
ოსტატობასაც ის ჟანგავს და ჟანგავს ოსტატსაც
ძაფსაც ის ხრავს სართავ ჯარაზე
არავინ სწავლობს მის ნიმუშზე ოქრომჭედლობას;
მევახშეობით შეუბოჭავს კიბოს ლაჟვარდი;
ძოწისფერი დარჩენილა მოუქარგავი
ზურმუხტისფერს არ ჰყავს მემლინგი
მევახშეობა დედის საშოში აშთობს ჩანასახს
თვითწარდგინება აუკრძალავს
ყმაწვილკაცისთვის

საწოლში კი სისხლჩაქცევა შეუტანია, დანთხეულა
ნეფესა და პატარძალს შორის

CONTRA NATURAM

ელევსისში მეძავები შეუყვანიათ
წვეულებაზე მოსალხენად გვამები დასხეს
მევახშეობის განკარგულებით.

უზურით

უზურით არა კაცს აქვს სახლი კარგი ქვის
ყველა აგური სწორად მოჭრილი და მორგებული
რომ ჩანაფიქრმა სახე მათი დაფაროს,
უზურით
არა კაცს დაუხატავს სამოთხე თავის საყდრის
კედელზე
harpes et luz
ან კიდევ სადაც ქალწული მიიღებს ცნობას
ხოლო ნიმბი გამოასხივებს განაჭერიდან,
უზურით
არა კაცი გონზაგა იხილავს თავის მემკვიდრეებს
და კონკუბინებს
არა სურათი იქმნება, რათა გაძლოს, ანდა
იცხოვრო თანა
არამედ იქმნება, რომ გაიყიდოს და გაიყიდოს
ხელად
უზურით, რომელიც ცოდვაა ბუნების წინაშე,
მზადდება პური შენი მარად ხმელი ჩვრებისგან,
არის პური შენი მშრალი ვით ქაღალდი,
არა მთის ხორბლით, არა ღონიერი ფქვილით
მონასმი სქელდება უზურით
დემარკაცია მქრქალდება უზურით
და ვერა კაცი ჰპოვებდეს სანახს დასავანებლად.
ქვისმთლელი მოკვეთილია თავის ქვას
მქარგავი მოწყვეტილია დაზგას

უზურით

მატყლი არ გამოდის ბაზარზე
ცხვარს მონაგარი არ მოაქვს უზურით
მომსვრევი სენია უზურა, ნემსს აბლაგვებს
უზურა მოახლის ხელში
და დააყენებს მრთველის სიმარჯვეს. პიეტრო
ლომბარდო
არ მოსულა უზურით
დუჩო არ მოსულა უზურით
და არც პიერო დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინ'
არაა უზურით
არც 'a Calunnia' დახატულა მისით.
არა უზურით მოსულა ანჯელიკო; არ მოსულა
მისით ამბროჯო პრედის,
მისით არ მოსულა ქვისგან თლილი ტაძარი
წარწერით: Adamo me fecit.
არაა უზურით სენ ტროფიმი
არაა უზურით სენტ-ილერი,
უზურა აჟანგებს საჭრეთელს
იგი აჟანგებს ხელობასა და ხელოვანს თანაბრად
იგი ხრავს დაზგაში გაბმულ ძაფს
არავინ სწავლობს ოქროს ქსოვას მისდა ნიმუშად;
ლაჟვარდს აწყლულებს უზურა; კრამუაზი შთება
მოუქარგავი
და ზურმუხტი ვერ აგნებს მემლინგს
უზურა ჩვილს სპობს საშვილოსნოში
იგი აჩერებს ყმაწვილკაცის არშიყს
მან მოჰგვარა დამბლა სარეცელს, ინახ-დგას
ნორჩ პატარძალს და მის ნეფეს შორის
CONTRA NATURAM

მეძავები მოუგვრიათ ელევსინისთვის
ნადიმად დაუსხამთ გვამები
უზურასავე ბრძანებით.

მევახშეობით

მევახშეობით, ვერვინ დაიდგამს სახლს კარგი
ქვისას
თითო-თითო აგურს გლუვად ნაკვეთს, კოხტად
მორგებულს
რათა არშიამ მსწრაფლ დაუფაროს მათ ზედაპირი,
მევახშეობით
ვერვინ დახატოს სამოთხის სახე ტაძრის კედელზე
არფა-ლუტნებით
ან სადაც ქალწულს მიეხარება ცნობა კეთილი
და შარავანდი გამოასხივებს კედლის ჭრილიდან,
მევახშეობით
ვერცა გონზაგამ ნახოს მემკვიდრე ან კონკუბინი
ვერც სურათი ჰქმნას, რომ გაძლოს დიდხანს,
ცხოვრება მორთოს
არამედ იქმნას გასაყიდად და გასასაღებლად
მევახშეობით, შეცოდებით ბუნების წინაშე,
გამოცხვება პური შენი მეტად მძაღე ძონძისგან
საკვები პური ქაღალდებივით გამოგიშრება,
უმთისხორბლებო და უმძლავრფქვილო იქნება
პური
მონასმი ხდება ტლანქი, ტლუ, სქელი
მევახშეობით
მევახშეობით იშლება მკვეთრი ხაზი მიჯნისა
და ვერსად ჰპოვებ შესაფერ ალაგს
ადგილსადებლად.

შორს დაურჩება ქვისმთლელს თავისი სამუშაო ქვა
მქსოველი დაზგას ხელს ვერ დაადებს
მევახშეობით
მატყლი აღარ მოაქვთ ბაზრობაზე გამოსაფენად
ცხვრისგან მონაგარი არ დარჩება მევახშეობით
შავი ჭირია მევახშეობა, მევახშეობა
ნემსს უბლაგვებს ნატიფ ქალიშვილს მქსოველ
თითებში და
სრავს ძაფის მრთველის ხელმარჯვეობას. პეტრე
ლომბარდოს
არას დაგიდევს მევახშეობა
არც დუჩო იყო მევახშეობის გამოისობით
არც დელა ფრანჩესკა; არც ბელინი მევახშეობით
„ლა კალუნია" არ დახატულა მევახშეობით.
მევახშეობით არ მოსულან ანჯელიკო, პრედის,
არც ნათალი ქვის ეკლესია: Adamo me fecit.
წმ. ტროფიმეს კათედრალი არაა მევახშეობით
არც ტაძარი აშენდება წმინდა ილარიონის,
მევახშეობით ჟანგდება ღოჯი, იგი აჟანგებს
მარჯვე ხელოსანს და აჟანგებს კარგ ხელობას
მისას
იგი ამოხრავს ძაფს საქსოვ დაზგაში, ვერც
ვერავინ
ისწავლის ოქროს თვის მოხატულობაში შეგრეხას;
ლაჟვარდს შანკრი შეეყრება მევახშეობით;
ცვდება
მეწამული; ზურმუხტი მემლინგს ვერ მიეახლება
უშობ ჩვილს მოსრავს საშვილოსნოში მევახშეობა
იგი აბრკოლებს ყმაწვილკაცების არშიყ-
ტრელობას

ტრფობის სარეცელს მან მოჰგვარა
დადამბლავება, ნორჩ
საქმროსა და მის პატარძალს შორის
წამოწოლილა
                    კონტრა ნატურამ
მეძავები მოჰგვარეს ელევსინს
ნადიმს - გვამები
მევახშეობით.

ვახშით

ვაშხით მავანს არ ეგულება
მყარი ქვის
სახლი

ყოველაგური გლუ-
ვად მოჭ-
რილ-მორგებული
სახიერება ჩანაფიქრით გადაფარული
ვახშით ვის აქვს Paradis peint [où sont]

harpes et luths

[ან სად] ქალწულს მიეხაროს
და შუქი ნიმბად დაადგეს ნაკვეთს
ვახშით
ვერ მოიხილოს გონზაგამ თვის შთამომავალ-
კონკუბინობა
სურათს ვერ შექმნი რათა გაძლოს თანა-
იცხოვრო რათა
გასაყიდად ნახატს და მსწრაფლ
გასაყიდად
ვახშით, ცოდებით ბუნების წინაშე
პური შენი მძაღე ჩვრისაა
პური შენი ქარ-
ტა უსველებელია

უასლო, უ-ძალ-ღერღო,
ვახშით მონასმია ტლანქი, უტიფი
ვახშით მიჯნა ბუნდოვანდება
და ვერას ალაგს დაევანები.
ქვის მთლელს ქვა ჩაუფლავდება
მქსოველს დაზგა ჩაუფლავდება
ვახშით
ბაზარს მატყლი ჩაუფლავდება
ცხვარს მონაგარი ჩაუფლავდება
ვახში მსვრელი სნეულებაა, ვახში
ქალწულს ნემსს უუქმებს, მქსოველს -
მარჯვებას. პიეტრო ლომბარდო
არ მოსულა ვახშით არც
დუჩო არც პიერო
დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინ' არ ვახშით
არც 'ლა კალუნნია'.
არ მოსულა ვახშით ანჯელიკო; არც ამბროჯო
პრედის
არც ქვაში ნათალი საყდარი წარწერით *ადამ-*
ო მე ფე-
ხით.
ვახ-
შით არაა სენ ტროფიმ
ვახშით არაა სენტ ილერ,
ვახში აჟანგებს საჭრეთელს
აჟანგებს ხელ-
ობასა და ხელ-
ოსანს. ძაფს დახრავს
დაზგაში ოქროს ჩაწვნას ვერ
შეასწავლი; ლაჟვარდს

აწყლულებს ვახში; უ-
ქარგია მეწამული; ზურმუხტი
ვერ ეახლოს მემლინგს
საშოში ჩვილს მოსრავს ვახში
ყმაწვილკაცის არშიყს აყენებს
დამბლას ჰგვრის ქვეშაგთ, ჩა-
ეგება ნორჩ ნეფე-პატარძალს
შორის
        კონტრა
ნატურამ.
სიძვა მოჰგვარეს
ელევსინს გვამები
დასხეს ნადიმზე
ვახშის ბრძა-
ნებით.

უზურას შემწეობით

უზურას შემწეობით, არ ფლობს ძე კაცისა სახლს
მყარი ქვისგან
ქვის ნატეხს ყოველს, ნატიფად გლუვს და ნაზად
გამოთლილს
ფასადს, რომელსაც ამკობს ორნამენტი
უზურას შემწობით
სამოთხეს არვინ სახავს „ალ ფრესკო" ტაძრის
კედლებზე
harpes et luz
იქ, სადაც ქალწულს ცნებას აღუთქვამენ
და ნიმბუსს დარკალულს, ჩრდილად აღიქვამენ
უზურას შემწობით
ვერსად იხილავ გონძაგას, ვერც ნაგრამსა და
ვერც კონკუბინებს
ვერც ხატს ამოტვიფრულს, დაუნჯებისა თუ
მარადისობის დარად
არამედ მხოლოდ გასაყიდად და მარად გასაყიდად
უზურას შემწეობით
ცოდვა არს ქმნილი ბუნების წინაშე
და პური შენი, უპოვართა მცირე ლუკმის
ნაგლეჯად მოჩანს
და პური შენი მშრალი არს, ვითარც ქაღალდი
გაფუებული, თავთავისა და ხორბლის გარეშე
უზურას შემწეობით, ხაზი გავლებული სულ
უფრო სქელდება

უზურას შემწეობით, ხაზი გავლებული
სრულქმნილ იშლება
და ვერვინ იბუდებს ვერსაით, როგორც საკუთარ
სახლში.
და ქვას სტაცებენ ქვის მთლელს და ჯარას
ფეიქარს,
უზურას შემწეობით
მატყლი აღარ გააქვთ დახლზე გასაყიდად
უზურას შემწეობით, სარგებელს ვეღარ იღებენ
ცხვრისგან
ჭირი არს უზურა მხოლოდ,
მოახლის ხელში ნემსს, რომ აბლაგვებს
ჯარას მოსართავს კი, სულ უძრავს ამყოფებს
არ ქმნილა უზურათი პიეტრო ლომბარდო
არც დუჩო შექმნილა მისით
არც პიერო დელა ფრანჩესკა, ძუან ბელინის
უზურათი არ უწერია
„La Callunia”
ანჯელიკო არ ქმნილა მისით, მას არ უქმნია
ამპროჯიო პრედისი
არ ქმნილა ტაძარი უზურათი, წარწერით: Adamo
me fecit
არ ქმნილა მისით წმინდა ტროფიმი
არ ქმნილა მისით წმინდა ილერი -
და იჟანგება საჭრეთელი, მისი შემწეობით
და იჟანგება ოსტატობაც და ოსტატიც, მისი
შემწეობით
სართავ ჯარაზე, ძაფსაც ხრავს უზურა,
სართავ ხელოვნებას კი
წარსულ დღეს აბარებს და მოგონებას

კიბოს ლაჟვარდი შეუპყრია, ძოწისფერს ქარგვა
                    დაკლებია, უზურას შემწეობით
და ზურმუხტისფერს მემლინგი დაჰკარგვია,
უზურა იმეტებს ნაყოფს სასიკვდილოდ,
და შთაგონებას უქარწყლებს მიჯნურს
მიჯნურთ სარეცელს სისხლად გარდაქმნის
და პატარძალსა და ნეფეს შორის
CONTRA NATURAM წვება მარადის.
მათ ელევსინი დატბორეს მეძავთა წყებით
ტრაპეზისას კი გვამნი იხმეს, შორეთიდან
უზურას განჩინებით.

20.09.2020

უზურით

უზურით კაცს აღარ აქვს კარგი ქვის სახლი
სადაც ყოველი ქვა თლილია და ისე ჩასმული
რომ დიზაინს შეუძლია დაფაროს სახე
უზურით
აღარ აქვს ფერადი სამოთხე თავის ტაძარში
harpes et luz
სადაც ქალწული უწყებას იღებს
და შარავანდედი ისახება განაკვეთიდან
უზურით
გოზაგას ვერავინ ხედავს, ვერც მის მემკვიდრეთ
და კონკუბინებს,
ხატები არ აქვს , მათთან ერთად რომ იცხოვრონ
და გადაიტანონ
ყველაფერია მხოლოდ იმისთვის, რომ გავყიდოთ
და ჩქარა გავყიდოთ
უზურით, ცოდვა მოერია ბუნებას,
და შენი პური უხალისოდ იღეჭება,
მშრალი, როგორც ქაღალდი.
მთის ხორბალი არ ურევია, არც მტკიცე ფქვილი
ხაზები სქელდება უზურით
უზურით ყველაფერი იდღაბნება
კაცს აღარ აქვს სახოვრებელი, რომ შეეფაროს
ქვისმჭრელი ვეღარ მისულა ქვასთან
მქსოველი კი საქსოვ დაზგასთან
УЗУРИТ

მატყლი ვერ მოხვდება ბაზარში
ცხვარი ვერ მოიგებს უზურიანად
უზურა ჭირია
უზურა ნემსს აბლაგვებს მოახლის ხელში
დამრთავს დამბლას სცემს. პიეტრო ლომბარდო
უზურით არ მოსულა
დუჩო არ მოსულა უზურით
არც პიერ დელა ფრანჩესკა: ძუან ბელინიც არა
'La Calunnia' არ დაბეჭდილა.
არ მოსულა უზურათი ანჟელიკო; არც ამბროზიო
ფრედისი
არც ტაძარი ქვის ფილებზე წარწერილი: Adamo me
fecit.
უზურათი აღარაა წმინდა ტროფიმე
უზურათი აღარაა წმინდა ილარი.
უზურა აჟანგებს საჭრეთელს
აჟანგებს საქმესაც და ოსტატსაც
ხრავს ძაფს კოჭაზე
ოქრომჭედლობას არავინ სწავლობს მისი
უზურით;
ლაჟვარდი დაწყლულებულა უზურასგან;
ძოწეული ვერ მოუქარგავთ
ზურმუხტები გადამალულა.
უზურა აშთობს ბავშვს საშოშივე
ის რჩება ყმაწვილ კაცზე ზრუნვაში
მას მოაქვს დამბლა საქორწილო სარეცელზე
ტყუილებით
ახალგაზრდა კაცს და ქალს შორის
CONTRA NATURAM
ელევსინში ბოზები დასხეს

გვამები მართავენ წვეულებას
უზურას ნებით.

N. B. Usury: უზური: გადასახადი მსყიდველობითი უნარის გამოყენებასთან დაკავშირებით, დაერიცხება წარმოების გათვალისწინების გარეშე; ხშირად წარმოების შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. (შესაბამისად მედიჩის ბანკის გაკოტრება).

III

Ammiel Alcalay

On Ezra Pound's Canto XLV

I was recently solicited by an on-line journal to write a short piece on a poem that I was "holding close" during these trying times. Though I knew that presenting Ezra Pound's "Usury" canto might present some problems, I went ahead because it has been much on my mind these days. When I dared to not explicitly label Pound with one or another standard and obvious epithet, I was taken to task and asked to do so, almost in the sense of pledging a loyalty oath, something I was completely unwilling to do. As the spectrum of permissible speech becomes more and more circumscribed, I remain ever so indebted to the autonomous zone Dispatches has created.

***

This very notable canto by Ezra Pound has been with me for a long time and I've found myself coming back to it again and again during the ongoing pandemic, particularly as politicians roll out various figures in the trillions and bankers and corporations lick their chops at the idea of a virtually endless supply of new-

ეზრა პაუნდის კანტო XLV

მცირე ხნის წინ ერთმა ონლაინ ჟურნალმა მცირე ზომის წერილის დაწერა მთხოვა რომელიმე ერთ ლექსზე, რომელსაც „გულთან ახლოს ვატარებდი" ამ რთული დღეების მანძილზე. თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ ამ კონტექსტში პაუნდის „უზურა" კანტოს წარდგენა სირთულეებს წამოჭრიდა, უკან არ დამიხევია, რადგან, ბოლო დროის მანძილზე, ფიქრებით სწორედ ამ ლექსთან ვიყავი. როდესაც გავბედე და ჩემს წერილში არანაირი იარლიყი, სტანდარტული თუ აშკარა ეპითეტი არ მივაკერე პაუნდს, რედაქტორისგან ამ ვითარების გამოსწორების მოთხოვნა მივიღე, ისე, თითქოს ერთგულების ფიცის დადებას მთხოვდნენ - რისი ოდნავი სურვილიც არ მქონია. ახლა, როდესაც სიტყვიერი გამოხატვის დაშვებული ზომები უფრო და უფრო იზღუდება, იზრდება ჩემი მადლიერებაც იმ ავტონომიური ზონის მიმართ, რომელიც Dispatches from the Poetry Wars*-მა შექმნა.

***

ძალიან დიდი ხანია, რაც თან მსდევს ეზრა პაუნდის ეს სრულებით გამორჩეული კანტო და ამ დაუსრულებელი

---

* ამ სახელწოდების პოეტურ-მილიტანტურ ვებსაიტზე (რომელიც მაიკლ ბონმა და კენტ ჯონსონმა წამოიწყეს 2016 წელს და რომელიც შარშანდლის ჩათვლით არსებობდა) გამოქვეყნდა, პირველად, ალკალაის ეს ტექსტი (მთარგმ.).

ly printed money and the ensuing financial chicanery that will transfer even more wealth to even fewer people.

The idea that private banks exert such enormous leverage on society through charging interest for the use of currency is a practice that outraged Pound, and that he felt to be one of the primary roots of the perversion and loss of value in the human community.

Whatever one might think about that, the line "Usura slayeth the child in the womb" is, actually, quite literal, since the ability to use or borrow funds affects the very possibility of life. Think of IMF "restructuring," followed by bread riots in the so-called "developing world," or red-lining to prevent the accumulation of wealth by African-Americans, to mention just a few obvious examples. If one thinks of interest as a means of social engineering—almost like a thermostat that can be set to have the kinds of sweeping effects that a famine or a war might have—suddenly our perspective shifts, as interest rates can actually determine the fates of whole peoples or a whole generation.

Pound was famously captured in Italy in May of 1945, interrogated by an agent assigned by FBI Director J. Edgar Hoover, then imprisoned in a 6×6 foot outdoor steel cage at a US Army Training Center in Pisa, and eventually charged with treason for radio broadcasts he had made in support of Mussolini. In the cage at

პანდემიის დროს მას ისევ და ისევ ვუბრუნდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები ტრილიონების ოდენობით ახალ-ახალ რიცხვებს ასახელებენ, ხოლო ბანკირები და კორპორაციები სიამით ილოკავენ ტუჩებს იმის გაფიქრებაზე, რომ ახლად დაბეჭდილი ფულის ფაქტობრივად ულევი მარაგი და შესაბამისი ფინანსური ხრიკები მეტ და მეტ სიმდიდრეს მოუხვეჭს ნაკლებ და ნაკლებ ხალხს.

პაუნდს რისხვას ჰგვრიდა სწორედ ის საშინელი ზემოქმედება, კერძო ბანკებს ფულის ბრუნვით დარიცხული უზარმაზარი პროცენტის საშუალებით რომ აქვთ საზოგადოებაზე. და სწორედ ამ პრაქტიკაში მიაკვლევდა ადამიანთა თემში დამახინჯებისა და ღირებულების კარგვის ერთ-ერთ პირველმიზეზს.

რა აზრისაც არ უნდა იყოს მავანი ამ ყველაფერზე, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი სტრიქონის ჭეშმარიტება, როგორიცაა „უზურა ახალშობილს მოსრავს საშოში", სწორედაც რომ პირდაპირი მნიშვნელობით და სიტყვასიტყვით უნდა გავიგოთ, რამდენადაც მარაგების მოხმარებისა თუ სესხების შესაძლებლობა, სწორედაც, თავად სიცოცხლის შესაძლებლობაზე ზემოქმედებს. გნებავთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „რეორგანიზაცია," რომელსაც მასობრივი არეულობები მოჰყვა, საკვების უკმარისობის მიზეზით, ეგრეთ წოდებულ „განვითარებად ქვეყნებში," ანდა წითელი ხაზი, დაწესებული იმისთვის, რომ წინ აღუდგეს აფრო-ამერიკელების მიერ სიმდიდრის მოხვეჭას, მხოლოდ რამდენიმე აშკარა მაგალითი რომ დავასახელოთ. თუ ინტერესს მოვიაზრებთ, როგორც სოციალური წარმართვის საშუალებას - როგორც თერმოსტატს, რომლის ზემოქმედებაც ისეთივე მძლავრი და ფართო შეიძლება იყოს, როგორც ომისა თუ შიმშილობის - უეცრად გვეცვლება პერსპექტივა: საპ-

Pisa, as Pound wrote in Canto LXXX, "the raft broke and the waters went over me."

What rarely gets told in this complex story is that, while Pound was one of the few American citizens charged with treason following WWII, during the same month, May of 1945, key Nazi officers, intelligence personnel and scientists were quietly shipped to Washington, D.C., having been recruited by the burgeoning US National Security state to eventually serve in a series of operations with macabre and absurd names like Overcast, Paperclip, Pajamas, Dwindle, Apple Pie, Panhandle, Credulity, and Sunrise. In other words, while Pound—never having actually been put on trial—remained incarcerated at St. Elizabeths Hospital for the Criminally Insane (a building now partially used as the headquarters of Homeland Security), people that, under different political circumstances, would have rightfully been considered war criminals, became key players in US Cold War policy and its clandestine operations that assassinated leaders, destroyed peoples and economies, and insured the hegemony of the American Empire and the US dollar.

In the present context, as politicians of all stripes grandstand and go to great lengths to cover their collective asses, we would do well to reconsider basic questions of GROUND: on whose ground does authority rest? In what is it vested? Beyond the hysteria and narcissism that characterizes the whole spec-

როცენტო განაკვეთს ხალხებისა და მთელი თაობის ბედის განსაზღვრა შეუძლება.
ცნობილია, რომ პაუნდი 1945 წლის მაისში შეიპყრეს იტალიაში, ის დაკითხა აგენტმა, რომელიც FBI-ს დირექტორის, ჯ. ედგარ ჰუვერის მიერ იყო დანიშნული, რის შემდეგაც საპყრობილეში ჩააგდეს - უფრო სწორად, პიზაში, ამერიკულ სამხედრო მოსამზადებელ ბაზაზე მდებარე 1,8 x 1,8 მეტრიან, ღია ცის ქვეშ განთავსებულ, ფოლადის გალიაში, - და, საბოლოოდ, ღალატში დასდეს ბრალი მუსოლინის მხარდასაჭერი რადიოგამოშვებების გამო. LXXX კანტოში პაუნდი წერს, რომ პიზაში, გალიაში გამომწყვდეულს „ტივი დამემსხვრა და წყლებმა დამფარა." ამ რთული ამბის შესახებ რასაც იშვიათად ამბობენ, ისაა, რომ თუკი პაუნდი იმ თითო-ოროლა ამერიკის მოქალაქეს შორის იყო, ვისაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ღალატისთვის განაჩენი გამოუტანეს, იმავე თვეში, 1945 წლის მაისს, საკვანძო მნიშვნელობის ნაცისტი ოფიცრები, დაზვერვის თანამშრომლები და მეცნიერები მშვიდად გადააცურეს ვაშინგტონში და ეროვნული უშიშროების სწრაფად ზრდად სამსახურში ჩააყენეს, რის შედეგადაც ისინი მონაწილეობდნენ ისეთი შემზარავი და აბსურდული სახელწოდებების ოპერაციებში, როგორებიც იყო Overcast, Paperclip, Pajamas, Dwindle, Apple Pie, Panhandle, Credulity, და Sunrise. ერთი სიტყვით, მაშინ, როდესაც პაუნდი (ისე, რომ სასამართლო პროცესი არც ჩატარებულა) სასჯელს იხდიდა წმინდა ელიზაბეტის საავადმყოფოში „კრიმინალურად შეურაცხადთათვის" (შენობაში, რომელიც, დღესდღეობით, ნაწილობრივ ეროვნული უსაფრთხოების შტაბადაა ქცეული), ადამიანები, რომლებიც განსხვავებულ პოლიტიკულ ვითარებაში მართებულად იქნებოდნენ მოაზრებულნი ომის დამნაშავეებად, საკვანძო ფიგურები გახდნენ აშშ-ის ცივი ომ-

trum of our official current political discourse, where do "we the people" even find representation? For myself, as unfashionable as it might be, returning to Pound's *Cantos* has proven a revelatory and unsettling source.

ის პოლიტიკაში და მის საიდუმლო ოპერაციებში, რომელთა მიზანსაც ლიდერების დახოცვა, ხალხების და ეკონომიკების მოსპობა და ამერიკული იმპერიისა და ამერიკული დოლარის ჰეგემონიის განმტკიცება წარმოადგენდა.

დღევანდელ კონტექსტში, როდესაც ყველა ჯურის პოლიტიკოსები მაყურებლის გულის მოსაგებად ყოყოჩობენ და დიდ ძალისხმევას ახმარენ თავიანთი კოლექტიური კეთილყოფის განაღდებას, კარგს ვიზამთ, თუ გადავიაზრებთ **საყრდენის** (GROUND) არსებით საკითხებს: ვის საყრდენს ემყარება ძალაუფლება? რაშია დაბანდებული ამ ძალაუფლების ინტერესი? იმ ისტერიკისა და ნარცისიზმის მიღმა, რომელიც ახაისათებს ჩვენი ამჟამინდელი ოფიციალური პოლიტიკური დისკურსის მთელ სპექტრს, სად შეგვიძლია „ჩვენ, ხალხმა," საერთოდ, ვიპოვოთ წარმომადგენლობა? პირადად ჩემთვის, რაც არ უნდა არამოდურად ჟღერდეს, პაუნდის კანტოებთან მიბრუნება თვალის ამხელ და შემაშფოთებელ წყაროდ იქცა.

IV

ირაკლი ყოლბაია

უზურას სახლი

მრავალი რამ შეიძლება, დაიწეროს არქიტექტურას, სკულპტურას, *ნაგებობასა* და პაუნდის იმ კანტოებს შორის კავშირზე, რომლებზეც, იქნებ, მეტი თქმულა ჩინური იდეოგრამებისა თუ მელოპიის ჭრილში, ვიდრე - როგორც რენესანსულ კონსტრუქციაზე, სტანცათა წყებებზე, რომლებსაც მივყავართ მეხსიერების ხელოვნებისა და პიქტორალურ-მათემატიკური წარმოსახვების მაგიასთან, იმ ეფემერულ გამონათებასთან, სადაც ლოგოსი კვლავ დაუკავშირდა რიტუალის საკრალურ თაურწყაროს, და ამით ცხადდება, თუ რატომაა პაუნდის ლოგიკური *სიფხიზლის*, სიცხადის პოეტიკა კანტოების წარმართული, რიტუალურ-მაგიური საწყისებისგან განუცალკევებელი (*კანტოები* ხომ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ერთგვარი ენციკლოპედიაა ცნობიერების მითოლოგიურ-მაგიურ-ჰოლისტური ნიმუშებისა); აქაა გასაღები კანტოების, როგორც პირველყოფილი *კულტურული* გმირის გზის მოდერნ(ისტ)ული რეკონფიგურაციის სარჩულთან - სწორედაც: ისევე, როგორც პაუნდის პირველი პოეტური შედევრი, „ხატაეთი" (Cathay, 1915) - რომელიც, წმინდად ტექსტუალურ დონეზე, კონფუცის ოდების თარგმანებს წარმოადგენს - იყო თანამედროვე წიგნი (მეოცე საუკუნის ამერიკული პოეზიის ერთ-ერთი პირველი *თანამედროვე წიგნი*), პოეზია, შექმნილი ჩვენი დროის ომების დანა-

კარგში, პოეზია, რომელმაც დასაბამისი დაუდო *ამერიკულ ენას* (გინსბერგი პაუნდის ენობრივ წვლილზე: „გადასვლა კლასიკური ინგლისურიდან პროვანსალურ ამერიკულში"). უიტმენის შემდეგ, მაშინ ჯერაც გაუმხელელი დიკინსონის შემდეგ, ერთის სახალხო-ბარდული, მეორის აუტისტურ-დემონური რეგისტრების მიღმა, საჭირო იყო წიგნი, რომელიც დაესაბამებოდა იმას, რასაც დღეს ცხადად ვხედავთ, როგორც ამერიკულ პოეტურ იდიომას, რომლის ვექტორისგან გადახვეული (ან - თუ ავანგარდის სამწუხაროდ მილიტარისტულ იდიომაში დავრჩებით - ფრონტისგან უკანდახეული) ელიოტის „ბერწ მიწას" (The Waste Land, 1922) უილიამ კარლოს უილიამსმა, თავის ავტობიოგრაფიაში, სიპტომური ენით უწოდა „დიდი კატასტროფა ჩვენი მწერლობისთვის" („გამოიცა ბერწი მიწა და დასრულდა მთელი ჩვენი სიხარული"); ხოლო, იმავე *ავტობიოგრაფიაში*, მან კვლავ ტრიქსტერული სიზუსტით მიუჩინა ადგილი ოლსონის მანიფესტ-წერილს, „პროექციულ ლექსს", რადგან ოლსონმა და მისმა რამდენიმე თანამგზავრმა, 1949 წლიდან მოყოლებული, პირველად დაიწყეს იმ გაწყვეტილი ხაზის აღდგენა, რომელიც პაუნდის „ხატაეთით" და უილიამსის „გაზაფხული და შემდგომ"-ით (Spring and All, 1923) იწყება და რომლის ფოკუსიც განილია, შეიძლება ითქვას, დაიმარხა მომდევნო სამი ათწლეულის განმავლობაში - ასევე კანტოებიც, ჩვენი დროის ლექსი, „ტომის თქმულება" (პაუნდისავე სიტყვებით: tale of the tribe), ეპოსი, როგორც ლექსი, რომელიც მოიცავს ისტორიას (და, როგორც ზემოთ ვთქვით: პრეისტორიას), რომელიც ისტორიას ეკვრის.

„გონება ლაბირინთია”, აღმოხდება ჰიუ კენერს საკუთარი ეპოსის - „პაუნდის ერა” (The Pound Era, 1971) - დასასრულს. გონება ლაბირინთია, და პაუნდმა ეს იცის. პაუნდმა იცის ალქიმიური *ნიგრედო*, იცის *ჟამი ჯოჯოხეთში*, და იცის, რომ მისივე ლაბირინთული, მელოდრამატული ტემპერამენტი მახეა, ჩიხია, ხოლო გონებას სჭირდება საზომი, თვლა, სახიერება და სხეული. და - კულტურა, რომელშიც ასეთი გონება იყვავილებს. და კანტოები, სხვა მრავალ რამესთან ერთად, წყებაა, არქიტექურული ნაგებობა, მეხსიერების თეატრი, რომელიც ეძიებს, - დაიტიოს, თავი მოუყაროს, იყოს კოაგულა მსგავსი შემთხვევებისთვის, ხდომილებებისთვის, როდესაც ორგანული კულტურა ყვაოდა (საკვანძო რამ: 45-ე კანტოს სდევს კანტო 47, რომელშიც პაუნდი კონგენიალური სიცხადით და გზნებით ქმნის ორგანული განწესრიგების იდეოგრამულ სურათს - „უზურას კანტოს” საპირწონედ). რადგან, *კანტოების* თანახმად, კულტურა - კულტურის ნათება - სწორედ იმ უზურას საპირწონეა, რომელსაც პაუნდი ამ გვერდებზე გმობს, როგორც *ადამიანის ბუნების* წინაშე უდიდეს ცოდვას/დანაშაულს. კულტურა, ამდენად, *ნიადაგია* ადამიანის ბუნების, *ადამიანისა* და *ბუნების* ორგანული განვითარებათანაარსებობისთვის (ყველა ამ შემთხვევაში, მკითხველს კვლავ XVII კანტოზე მივუთითებ, მის კვალად კი სხვა, მონათესავე - მაგალითად, XVII, XIX და სხვა - კანტოებზე); კულტურა, როგორც ნიადაგი, წინაპირობა, რომ იყვავილოს ადამიანის *ბუნებრივმა*, ორგანულმა დინებამ, ტემპმა, მიეცეს მას განსხეულების და გაფურჩქვნის საშუალება. და ამ ორმოცდამეხუთე

კანტოში, სახლის შუაგულში (თაურსვეტში, იმ ხსენებულ ორეულთან ერთად რომ ამაგრებს ნაგებობას) პაუნდი გამაოგნებელი, უცდომელი ლიტანიზებით ეძლევა ერთგვარ ნეგატიურ თეოლოგიას, რომლითაც აგებს მეხსიერების თეატრს, როგორც მანტენია მოხატავდა ბატონის საკნებს, სტანცებს, ისე რთავს ამ კანტოს დარბაზებს კულტურის ნაშთებით, არტეფაქტებით, იმ დაფარულ-გამქრალით, რომელიც ჩვენთან თანაცხოვრობს, თუმც არ იბრძვის და არ ყვირის.

როგორც ეს არც რენესანსული ნამუშევრისთვის იქნებოდა უცხო, უზურას კანტო აგებულია ანტიკურ პრინციპებზე და ამოსავალ წერტილს, რომელშიც მდინარება ბოლოს და ბოლოს ჩაედინება (ამოყვირებით: CONTRA NATURAM), რომელსაც უბრუნდება კიდეც სიმღერა მთელი რენესანსული მსვლელობის შემდეგ, წარმოადგენს დებულებას არისტოტელეს *პოლიტიკიდან*, რომ ეგების - ადამიანს სძაგდეს ფული. თითქოს ამ დებულების დასტურყოფამდე, ამ აფირმაციამდე, მიდის საწყისი კანტოების *პერიპლუმ*, ის ურთულესი, ალაგ გაუვალ ლაბირინთთა ნაგებობებად ქმნები, ის დავიწყებული მენტალური ხელსაწყოები, ფიზიკური ფორმის მსუნთქავი, მფეთქავი ეპიფანიები, ის, რასაც ოლსონი და დანკანი მიაგნებდნენ, როგორც ველით-კომპოზიციას, როგორც ფორმას, რომელიც ორგანულად განავრცობს შიგთავსს, სუნთქვით ცალკარსებს (თანასუთქვედებს) ენით ქმნად მთლიანში, მიაგნებდნენ ლექსის სიღიავეს - მოდის ამ კანტომდე, სადაც გაუსაძლისი სიცხადით იღვრება წმინდა წყლის **თქმა**, თქმები (უიტმენის არ-

სებითი სახელწოდება, იქნებ, არის არა იმ განთქმულ სუფისტურ ექსტაზებში, არამედ მისი ნაკლებ ცნობილი ლექსის ბევრად მარტივ სათაურში: says), არა მეანდრები, იდეოგრამები, პალიმფსესტები, არამედ, ამ ერთხელ, განცხადება, გაცხადება, *პირდაპირ თქმულის უტოპია*. სწორედ ეს, ვეჭვობ, ქმნის იმ მჭრელი, გაუსაძლისი ტკივილის განცდას, რომელიც სდევს ყველას, მჯერა, ვინც კი მისულა ამ ლექსთან, ამ კანტოების საკურთხეველთან.

არსებობს მეორე (ვუწოდოთ მას *დაუწერელი*) დეიქტიკური მწკრივი, რომელშიც სტრიქონ-სტრიქონ, გზავნილ-გზავნილ გავყვებოდით ლექსის „ექსპონატებს" და ამ ლამის უმოკლესი კანტოდან აგურ-აგურ გამოიზრდებოდა უშველებელი ნაგებობა (რადგან ეს კანტო, თითო ოროლა ლექსს შორის, არის ერთგვარი ლექსი par excellence, ლექსი, რომლის რაობაც არაფერში გაიწოვება და არაფრამდე დაიყვანება - ასეთი ლექსების თავისებურება რობერტ ქრილიმ განსაზღვრა ბლეიკის ციტირებით: „ცეცხლი ტკბება საკუთარი ფორმით" - და, როგორც ასეთი, ასეთ ლექსთაგან ერთი, ის ამბობს მხოლოდ საკუთარ თავს, პოეზიის კვინტესენციურ იდუმალებას: რომ მცირე ატარებს დიდს), რომელიც იქნებოდა მანათობელი დემონსტრაცია კულტურის შესაძლებლობებისა უზურას წინააღმდეგ . . . და ამ ძიებათა, ამ დემონსტრაციათა, ხილვათა და ფორმულირებათა სიხარულს ღიად, მკითხველო, თანამგზავრო, გიტოვებ და ვუტოვებ ჩემს თავს. ლექსი, აგრეთვე, უნდა იყოს კარი.

და თუ ამ კოლოსალური უტოპიზმით, ამ სიცოცხლისა და სილამაზის დატირებად მდგარი ყმუილით

მოსხმულმა „ბოროტების ყვავილებმა” (რადგან ისინი არსებობენ! პოეტი ხედავს მათ სიბნელეში, სიტყვის მიმწუხრში, ზეცაზე, რომლის ქვეშაც კალატოზი აპირკეთებს თავისი კანტოების კედლებს) გააჩინეს ბზარი, რომელმაც მოიღო მისი დაცემა, ტკივილი, რომელიც განვლილი საუკუნის ბნელ შუაგულში დგას, დგას იქ პოეტებთან - აპოლინერის, ლორკას, ვაიეხოს, მანდელშტამის, არტოს მტკივნეულ ცეცხლთან, თითქოს ენთოს მათში დროის ცნობიერება (ისინი ცეცხლოვანი ნიშნულებია ჩვენს ბნელში; გზამკვლევი; ნებართვა; ცნობა) (და ვამბობ, ვიხილე პაუნდის გზა, როგორც გზა მხილველი პოეტისა, რომელიც, რემბოს თქმით, დგამს ნაბიჯს ბნელში - საიდანაც, იცის თუმც, ვეღარ დაიხევს - ოღონდაც იხილოს), რათა, ბნელი ღამით გაგვიძღვეს მათი ჩვენება, მათი მემკვიდრეობა, რომ უზურით მართულ სამყაროშიც კი, პოეტი, ოდითგან მქმნელი, ხდება ფიგურა იმისა, ვინც ქმნის და იქმს იმას, რაც ძალუძს და, რამდენადაც ძალუძს, იქმს თვალსაჩინოდ.

V

ეზრა პაუნდი

უზურათი

(პწკარედი)

უზურათი არავის აქვს კარგი ქვის სახლი
თითოეული აგური მოჭრილი გლუვად და კარგად
მორგებული
რათა ჩანაფიქრმა შეძლოს, დაფაროს მათი სახე,
უზურათი
არავის აქვს დახატული სამოთხე თავის ეკლესიის
კედელზე
harpes et luz
ან სადაც ქალწული მიიღებს ცნობას
და შარავანდი გამოასხივებს ჭრილიდან
უზურათი
გონზაგა ვერ იხილავს თავის მემკვიდრეებს და
თავის კონკუბინებს
არ იქმნება სურათი რათა გაძლოს, არც რათა
იცხოვრო თანა,
არამედ იქმნება რათა გაიყიდოს და გაიყიდოს
სწრაფად
უზურათი, ცოდვით ბუნების წინააღმდეგ,
შენი პური მარად მძაღე ძონძისაა,
შენი პური არის მშრალი ვით ქაღალდი,
მთის ხორბლის გარეშე, ძლიერი ფქვილის გარეშე,
უზურათი ხაზი/მონასმი სქელდება
უზურათი არ არის ცხადი დემარკაცია
ქვის მჭრელი მოწყვეტილია თავის ქვას
მქსოველი მოწყვეტილია თავის საქსოვ დაზგას,
უზურათი
მატყლი არ მოდის ბაზარში,
ცხვარი ვერ მოიტანს მოგებას უზურათი,

უზურა შავი ჭირია, უზურა
აბლაგვებს ნემსს მოახლის ხელში,
და აჩერებს მრთველის სიმარჯვეს. პიეტრო
ლომბარდო
არ მოვიდა უზურათი
დუჩო არ მოვიდა უზურათი.
არც პიერ დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინ არაა
უზურათი
არც „La Callunia” დახატულა.
უზურათი არ მოსულა ანჯელიკო; არ მოსულა
ამბროჯო პრედის,
არ მოსულა ქვისგან ნათალი ეკლესია
ხელმოწერით: Adamo me fecit.
არა უზურათი სენ ტროფიმ
არა უზურათი სენტ ილერ.
უზურა აჟანგებს საჭრეთელს.
ის აჟანგებს ხელობასა და ხელოვანს.
ის გამოხრავს ძაფს დაზგაში.
ვერავინ სწავლობს, ქსოვოს ოქრო მის ნიმუშად;
ლაჟვარდს წყლული აქვს უზურათი; მეწამული
მოუქარგავია
ზურმუხტი ვერ ჰპოვებს მემლინგს.
უზურა მოსრავს ბავშვს საშვილოსნოში
იგი აჩერებს ახალგაზრდა კაცის არშიყს
მან მოუტანა დამბლა საწოლს, ჩაწვა
ახალგაზრდა პატარძალსა და მის ნეფეს შორის
CONTRA NATURAM
მათ მოჰგვარეს მეძავები ელევსინს
გვამები მიუსხდნენ/მიუსხეს ნადიმს
უზურას განკარგულებით.

ლექსიკონი

Usura, მევახშეობა (ლათ.) – ეზრა პაუნდის მიერ სააზროვნო პარადიგმად დამკვიდრებული ეს ლათინური სიტყვა (რომლის პირველ ასო-ნიშანს ის ყოველთვის მთავრულით წერდა) თანამედროვე არაიდეოლოგიზებული პოეტური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასაღებია და აღნიშნავს ყოველივე ძალადობრივს, კულტურაში ბუნებრივად მოსამნიფებლისა და შესაქმნელის ჩამხშობს, ნაჩქარევს, ტოტალურად არაკულტურულს, სულიერებისგან დაცლილს და მატერიალურ მოგებაზე ორიენტირებულს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პაუნდმა დააზუსტა, რომ უზურა სიმპტომია, მიზეზი კი არის სიხარბე.

harpes et luz – არფა და ლუტნა (ფრ.)

წმინდა ლუიჯი გონძაგა (1568-1591) – იეზუიტი ბერი, ახალგაზრდებისა და სტუდენტების მფარველი, რომელიც შავი ჭირის ეპიდემიამ იმსხვერპლა, როცა ავადმყოფებს ეხმარებოდა.

კონკუბინა – ძველ რომში დაბალი ფენის გაუთხოვარი ქალი, რომელთანაც მამაკაცი კანონიერი ქორწინების გარეშე ცხოვრობდა. ასეთი ურთიერთობა მოკლებული იყო კანონიერი ქორწინების თანმხლებ ყველა უფლებას, ხოლო თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი ბავშვები არ ითვლებოდნენ კანონიერად.

პიეტრო ლომბარდო (1435-1515) – იტალიელი მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი.

დუჩო დი ბუონინსენია (დ. დაახლ. 1255, გარდ. 1319) – იტალიელი მხატვარი, სიენას სკოლის წარმომადგენელი.

პიერო დელლა ფრანჩესკა (დ. დაახლ. 1420, გარდ. 1492) – იტალიელი მხატვარი და ხელოვნების თეორეტიკოსი.

ძუან ბელინი, იგივე ჯოვანი ბელინი (დ. დაახლ. 1430, გარდ. 1516) – იტალიელი მხატვარი, ვენეციური სკოლის წარმომადგენელი.

La Callunia (ცილისწამება) – სანდრო ბოტიჩელის (1445-1510) ფერწერული ნამუშევარი, შესრულებული 1494-95 წლებში.

ფრა ანჯელიკო (დ. დაახლ. 1386-1400, გარდ. 1455) იტალიელი მხატვარი.

ამბროჯიო დე პრედისი (დ. დაახლ. 1455, გარდ. დ. 1508) – იტალიელი მხატვარი, მილანის სკოლის წარმომადგენელი, მუშაობდა ლეონარდო და ვინჩისთან ერთად.

Adamo me fecit (ადამი და მე – ლათ.) - იგულისხმება წარწერა და წმინდა ძენო მაჯორეს ტაძარი ვერონაში (მე-12 ს.). ტაძრის შესასვლელიდან მარცხნივ, საძვალის ჩასასვლელთან, კაპიტელზე ამოკვეთილი წარწერა სრულად ასე იკითხება: ADAMINUS DESCO GEORGIO. ME FECIT

წმინდა ტროფიმი – წმინდა ტროფიმის ტაძარი არლში (მე-12-მე-15 ს.ს.).

წმინდა ილერი – წმინდა ილერის (ილარიონის) ტაძარი საფრანგეთში.

ჰანს მემლინგი (დ. დაახლ. 1433-1440, გარდ. 1494) – გერმანელი მხატვარი, ნიდერლანდური სკოლის წარმომადგენელი.

CONTRA NATURAM – ბუნების საწინააღმდეგოდ (ლათ.)

ელევსინი (ელევსისი) – ნაყოფიერების ქალღმერთების, დემეტრას და პერსეფონეს და მათთან დაკავშირებული ელევსინური მისტერიების საკულტო ცენტრი ძველ საბერძნეთში.

სარჩევი

წინათქმა	5
I	
Ezra Pound. Canto XLV	9
II	
ანი ცქიტიშვილი. უზურა	13
მარი ნიაზაშვილი. უზურით	15
სკა ინდიგოთი. უზურასგან	18
ხატია გაგნიძე. უზურას ნებით	21
ალექს ჩიღვინაძე. უზურას გამო	24
ანდრო თევზაძე. უზურით	26
გიორგი ლომსაძე. უზურათი	29
გია ჯოხაძე. უზურას ხელში	32
დათო ბარბაქაძე. უზურას ძალით	35
მევახშეობით	38
ირაკლი ყოლბაია. უზურით	41
მევახშეობით	44
ვახშით	47
ლუკა კუჭუხიძე. უზურას შემწეობით	50
მირიან ებანოიძე. უზურით	53
III	
Ammiel Alcalay. On Ezra Pound's Canto XLV	58
ამიელ ალკალაი. ეზრა პაუნდის კანტო XV	59
IV	
ირაკლი ყოლბაია. უზურას სახლი	69
V	
უზურათი (ირაკლი ყოლბაიას პწკარედი)	77
ლექსიკონი	79

Publishing House **“UNIVERSAL”**

4, A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia

☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30 E-mail:
gamomcemlobauniversali@gmail.com
universal505@ymail.com

(...) When I dared to not explicitly label Pound with one or another standard and obvious epithet, I was taken to task and asked to do so, almost in the sense of pledging a loyalty oath, something I was completely unwilling to do. (...) Beyond the hysteria and narcissism that characterizes the whole spectrum of our official current political discourse, where do "we the people" even find representation? For myself, as unfashionable as it might be, returning to Pound's Cantos has proven a revelatory and unsettling source.

Ammiel Alcalay

(...) როდესაც გავბედე და ჩემს წერილში არანაირი იარლიყი, სტანდარტული თუ აშკარა ეპითეტი არ მივაკერე პაუნდს, რედაქტორისგან ამ ვითარების გამოსწორების მოთხოვნა მივიღე, ისე, თითქოს ერთგულების ფიცის დადებას მთხოვდნენ - რისი ოდნავი სურვილიც არ მქონია. (...) იმ ისტერიკისა და ნარცისიზმის მიღმა, რომელიც ახასიათებს ჩვენი ამჟამინდელი ოფიციალური პოლიტიკური დისკურსის მთელ სპექტრს, სად შეგვიძლია „ჩვენ, ხალხმა," საერთოდ, ვიპოვოთ წარმომადგენლობა? პირადად ჩემთვის, რაც არ უნდა არამოდურად ეღერდეს, პაუნდის კანტოებთან მიბრუნება თვალის ამხელ და შემაშფოთებელ წყაროდ იქცა.

ამიელ ალკალაი